

ქალური წერის მახასიათებლები ნაირა გელაშვილის ნაწარმოებებში
ამბრნი, უმბრნი და არაბნი და დედის ოთახი

გვანცა ცუცქერიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე შედარებითი
ლიტერატურათმცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: უცხო ენათა ფილოლოგია და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა
(შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლევან ცაგარელი, პროფესორი, დოქტორი.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესის შესაბამისად.

გვანცა ცუცქირიძე

22.06.2021

მადლობა

მადლობას ვუხდით ჩემს შვილს, ეფემიას და ჩემს მეუღლეს, ალექსს, რადგან ჩემი შესაძლებლობების სჯერათ.

მადლობას ვუხდით ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, ლევან ცაგარელს, ყურადღებისთვის, რეკომენდაციებისთვის და საქმისადმი უზომო, მისაბამი ერთგულებისთვის.

მადლობას ვუხდით ჩემს მეგობრებს, ამ სამაგისტრო პროგრამის წყალობით აღმოჩენილებს - ანა ოთხმეზურს, ნანა აბულაძეს და ნიკოლოზ გედევანიშვილს გამხნევებისა და მოსმენისთვის.

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ცდას, ქართველი ავტორის - ნაირა გელაშვილის ორი რომანში - *ამბრნი*, *უმბრნი* და *არაბნი* და *დედის ოთახი* შესწავლილ იქნას ქალური წერის (*Écriture féminine*) ნიშნები სხვადასხვა ტიპის/სქესის მთხრობლის დონეზე.

ნაშრომის მიზანია, ახლო კითხვის პრინციპზე დაყრდნობით, მთხრობლის სხვადასხვა ტიპის შემთხვევაში იკვლიოს, როგორ, რა სიხშირით და ქალური წერის რომელი მახასიათებლები ვლინდება მთხრობლის დონეზე ზემოთაღნიშნული რომანებში.

მთხრობელთა რაგვარობის კვლევა ტექსტებში ეყრდნობა როგორც კლასიკური ნარატოლოგიის თეორიას, კერძოდ, ჟერარ ჟენეტს, ასევე, ფემინისტურ ნარატოლოგიას - სუზენ ლანსერის ნაშრომს. კლასიკური ნარატოლოგიისგან განსხვავებით, ფემინისტური ნარატოლოგია კვლევაში მეტი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას და ორი მეთოდოლოგიური ჩარჩოს ერთად გამოყენების საძუალებას გვაძლევს. კერძოდ, წინამდებარე ნაშრომში, მთხრობელთა დონეზე ქალური წერის ნიშნების კვლევა ხორციელდება ფემინისტური თეორიის მნიშვნელოვანი და გარდამტეხი ნაწილის, ფრანგი ფემინისტების - იულია კრისტევას, ჰელენ სიქსუს და ლუსი ირიგარეის მიდგომების და ნაშრომების საფუძველზე.

რომანების კვლევისას გამოვლინდა, რომ ქალური წერის სხვადასხვა ნიშნები ვლინდება მთხრობელთა ყველა ტიპის შემთხვევაში. ტექსტების ანალიზისას გაირკვა, რომ ამბები ყოველთვის ქალური ენით არის გადმოცემული, მიუხედავად იმისა, რა ტიპის ან სქესის მთხრობელთან გვაქვს საქმე. კვლევა

ადასტურებს, რომ რომანებს ფემინურობას ანიჭებს არა მთხრობლის სქესი ან უსქესობა, არამედ ნარატიული ეფექტი - მთხრობლის დონეზე ამბის გადმოცემა ქალური წერის მანერით.

საძიებო სიტყვები: ქალური წერა (Écriture féminine), ფემინური ნარატოლოგია, მთხრობელი, ნაირა გელაშვილი, ამბრნი, უმბრნი და არაბნი, დედის ოთახი, ქალური რომანი.

Abstract

The master's thesis is an attempt to study the signs of women's writing (Écriture féminine) with different types/sex of narrators in the narration level in the following two novels written by Georgian author Naira Gelashvili: *Mother's room* and *Ambrni, Umbrni and Arabni*.

The aim of the thesis is to explore in what manner, how often and what fundamental elements of women's writing are expressed in the novels mentioned above for each type of narrator based on close reading principle.

The study of narrators in the selected texts are based on the classical narratology theory, specifically, studies of Gerard Genette, as well as feminist narratology – the works by Susan Lanser. Unlike the classical narratology, the feminist narratology broadens the ability for the interpretation and ability of using two methodological frameworks simultaneously during the study. Specifically, the thesis explores the elements of women's writing based on the essential and turning moment in the history of feminist theory - works and approaches by French feminists Helene Cixous, Luce Irigaray and Julia Kristeva.

The close examination of the text revealed the elements of Écriture féminine in each type of the narrator analyzed. The study of the selected texts showed that the stories are always narrated through the elements of women's writing no matter of the type or the sex of the narrator itself. The result of the study points out that the novels are considered as pieces of feminine writing not because of sex/ absence of sex of the narrator, but because of the elements of Écriture féminine revealed at the narration level of selected texts.

Keywords: Feminine writing (*Écriture féminine*); Feminist Narratology; Narrator; Naira Gelashvili; *Ambrni*, *Umbrni* and *Arabni*; Mother's Room; feminine novel.